

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ პროგრამული პრიორიტეტები უნდა ითვალისწინებდეს მედიაპროდუქტების წარმოებასა ან/ და შექმნას შემდეგი მიმართულებებით:

1. საქართველოს ევროატლანტიკურ ინტეგრაციასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ - ნატოში გაწევრიანების შესაძლებლობებზე, ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებაზე დასავლეთთან ინტეგრაციის დადებითი გავლენის შესახებ - ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების (27/06/2014) და მასთან არსებული ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ (DCFTA) შეთანხმების გაცნობას, აღნიშნულ შეთანხმებათა ვალდებულებების შესრულების მონიტორინგის შედეგების, სხვადასხვა სფეროში მიღებული სიკეთების და სამომავლო შესაძლებლობების ანალიზს.

მნიშვნელოვანია ასევე, გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების (25/09/2015) დღის წესრიგის დოკუმენტის გაცნობაც (17 მიზანი, 169 ამოცანა), რომელიც განვითარებადი ქვეყნების სიღარიბის გამომწვევ ძირითად მიზეზებზე და განვითარების უნივერსალურ საჭიროებებზე საუბრობს სამ განზომილებაზე: ეკონომიკური ზრდა, სოციალური ინკლუზია და გარემოს დაცვა, რომლებიც წევრმა სახელმწიფოებმა 2030 წლამდე უნდა დაძლიონ.

2. ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო გამოცდილებისა და მიდგომების შესახებ, ადამიანის უფლებათა სწავლებაზე ორიენტირებული მედიაპროდუქციის მომზადებას, კონკრეტული უფლებადარღვევების შესახებ ფაქტების გაშუქებას, რომლის მიზანიც იქნება საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვის მდგომარეობის გაუმჯობესება, განსაკუთრებით საზოგადოების დაუცველი/მოწყვლადი ჯგუფების ადვოკატირებას, გადაცემებში ადამიანის უფლებადამცველების, ასევე სხვადასხვა თემის და სოციალური ჯგუფის წარმომადგენლების მონაწილეობის უზრუნველყოფით.

ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით მნიშვნელოვანია საზოგადოებრივმა მაუწყებელმა უზრუნველყოს ონლაინ პლატფორმა, სადაც ნებისმიერ ადამიანს ექნება შესაძლებლობა გამოხატოს მისი მოსაზრება ან/და გააუღეროს ინფორმაცია კონკრეტულ დარღვევაზე, შესაძლო დანაშაულის შემცველ ფაქტზე თუ გარემოებაზე. ასევე, სასამართლო სხდომებიდან მხარის თანხმობით, ჩართების უზრუნველყოფა, სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელების პრობლემატიკაზე; პრაქტიკაში არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად, გადაცემებში ადვოკატებისა და სამართლის ექსპერტების მოწვევა, მოსაზრებების ასახვა. ასევე, თუ რამდენად იყენებენ ქართული სასამართლოები პრაქტიკაში ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას.

ბავშვთა უფლებებზე, სოციალურად დაუცველ, მიუსაფარ ბავშვთა პრობლემებზე, ბავშვთა და მოზარდთა უკანონო შრომის, განათლების ხარისხისა და თანაბარი ხელმისაწვდომობის პრობლემატიკაზე, ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვაზე, ფიზიკური აღზრდის პოპულარიზაციაზე, როგორც ჯანმრთელობის დაცვის, ისე მავნე ჩვევებისა (თამბაქო, ალკოჰოლი, აზარტული თამაშები, ნარკომანია) და ძალადობის წინააღმდეგ მძლავრი კამპანიის შესახებ.

ძალადობის, ბუღინგის, სიძულვილის ენის, დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრისთვის მნიშვნელოვანია საზოგადოებრივ მაუწყებელზე მომზადდეს სოციალური ვიდეო რგოლები თავისუფლების, გენდერული თანასწრობის, თავისუფალი არჩევანის უფლების, სიტყვის, აზრის გამოხატვის თავისუფლებისა და სიძულვილის ენაზე, ძალადობის/ბუღინგის, დისკრიმინაციის შესახებ. აღნიშნული ვიდეო რგოლები სასურველია მომზადდეს შიდა ადამიანური რესურსის მიერ, რაც ხელს შეუწყობს ტელევიზიის პოპულარიზაციას.

სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების დაცვის შესახებ გადაცემების მომზადება შედარებითი ანალიზის მიხედვით.

3. პანდემია და პოსტ პანდემიის პერიოდის შეფასება, covid19-ის პანდემიის პოლიტიკის შეფასება. ჯანდაცვის მდგომარეობა, სამედიცინო მომსახურების თანაბარი ხელმისაწვდომობა, ეკონომიკური გამოწვევები ბაზარზე არსებული სხვადასხვა სექტორის მიხედვით - ანალიზი, პრობლემების გადაჭრის გზებზე, ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში დაძლევა და დაუძლეველ სირთულეებზე, ანტიკრიზისული გეგმის ფარგლებში რას სთავაზობს მათ სახელმწიფო და რეალურად რა საჭიროებებია, როგორ შეიძლება განავითარონ/მოარგონ საკუთარი საქმიანობა პოსტ პანდემიით გამოწვეულ კრიზისს ან/და სხვა საქმიანობით ჩაანაცვლონ. აქცენტი კეთდება სოფლის მეურნეობისა და აგრარული სფეროს განვითარებაზე, თუმცა ინფორმაცია არ არსებობს კონკრეტულად ბაზარზე რომელი პროდუქციის მიწოდება უჭირს საქართველოს. რა პერსპექტივაა ეროვნული წარმოების განვითარების შესაძლებლობებზე, ონლაინ მომსახურების დანერგვაზე, პანდემიით გამოწვეული კულტურული ინდუსტრიის კრიზისის დაძლევაზე.

აუცილებელია ყველა პროფესიისა და საქმიანობის ადამიანების პრობლემებისა და მოსაზრებების გაცნობა, მათ შორის ხელოვნებისა და კულტურის დარგის წარმომადგენლებისა. ასევე, ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის როლზე ყურადღების გამახვილება. ეკონომიკური კრიზისის გააზრება, როგორც ფიზიკური გადარჩენის, ამავე დროს ქვეყნის უსაფრთხოების თვალსაზრისით.

3. საგამოძიებო ჟურნალისტიკამ განმაურებული თემების გარდა, უნდა გააქტიუროს საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი თემები, ასევე იგი უნდა იქცეს საჯარო სექტორზე საზოგადოებრივი მეთვალყურეობისა და მონიტორინგის გაძლიერების ერთგვარ მექანიზმად მენეჯმენტმა უნდა შეიმუშაოს ამ პლატფორმის კონცეფცია, საგამოძიებო პროდუქციის როგორც შიდა, ასევე გარე წარმოების შესახებ.

4. საქართველოს სამეზობლო და საგარეო პოლიტიკაზე, სამხრეთ კავკასიის რეგიონში საქართველოს როლზე დემოკრატიის განვითარების თვალსაზრისით, მეზობელი ქვეყნების პოლიტიკასა და დემოკრატიული განვითარების მდგომარეობაზე ანგარიშების მოსმენა. აჭარის რეგიონთან მიმართებაში სამეზობლო სავაჭრო- ეკონომიკურ და პოლიტიკურ ურთიერთობებზე ანალიტიკური სიუჟეტების თუ გადაცემების მომზადება.

5. აჭარის რეგიონისა და ბათუმის პოპულარიზაციაზე, ბათუმის ურბანული განვითარების პრობლემატიკაზე, რეგიონის ბუნებრივი რესურსებისა და ტურისტული პოტენციალის შესაძლებლობების შესახებ, მათ შორის საზღვაო რესურსის, საერთაშორისო სავაჭრო,

ლოგისტიკური და სამეწარმეო საქმიანობის განვითარების ხელშეწყობაზე, წყალქვეშა სამყაროს მრავალფეროვნების შენარჩუნებაზე, რაც მნიშვნელოვნად იმოქმედებს რეგიონის ეკონომიკისა და დასაქმების ზრდაზე. ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის (BSEC) ხელშეკრულების (საქართველო 2004 წლიდან შეურთდა) განხილვა.

6. აჭარის რეგიონში მწვანე ეკონომიკის პოპულარიზაცია. ბუნებრივი რესურსების მართვა, განახლებადი ენერჯის, მყარი ბიომასის ნარჩენების მართვის და ახალი ტექნოლოგიების დანერგვის, განვითარებული ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკის გამოყენების შესაძლებლობებზე გადაცემები.

საქართველოს ქარის, მზის, გეოთერმული და ჰიდრორესურსების უდიდესი აუთვისებელი პოტენციალი გააჩნია. განახლებადი ენერჯის წარმოებისა და ენერგოეფექტურობის განვითარების კუთხით რა პრობლემებია საქართველოში, ვინაიდან ვხედავთ რომ დღითი დღე იზრდება მოხმარების აუცილებლობა - ენერგეტიკული მოთხოვნის პროგნოზი ტექნოლოგიების განვითარებით. აქცენტი უნდა გაკეთდეს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს ნორმატიული და ინსტიტუციური გარემო ძირითადად არ შეესაბამება ენერგოეფექტურობისა და განახლებადი ენერჯის მიმართულებით საერთაშორისო ხელშეკრულებების მოთხოვნებს, რაც მნიშვნელოვანი ხარვეზია ევროინტეგრაციის კუთხით და ზრდის ენერგოუსაფრთხოების რისკებს. საქართველოს განახლებადი ენერჯო რესურსების სრული ათვისება, მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ქვეყანაში კლიმატის ცვლილების პროცესს და ეკოლოგიურ მდგომარეობას.

ვფიქრობ, ჩემი მოსაზრებები მნიშვნელოვნად გაზრდის საზოგადოებრივი მაუწყებლის როლს, რითაც საზოგადოებრივი მაუწყებელი უკეთ მოახერხებს საზოგადოების ინფორმირებას და ყურებადობას, მონაწილეობითი პოლიტიკის განხორციელებას, დაეხმარება მათ უკეთესი გახადონ საკუთარი ყოფა - როგორც ფუნდამენტური ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების, ასევე სოციალური, სამოქალაქო - პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული უფლებების განხორციელების თვალსაზრისით, რაც ბუნებრივია იქნება გადამწყვეტი ფაქტორი ჩვენი ევროპული ოჯახთან დაახლოებისა და სრულფასოვნად გაწევრიანების პროცესში.

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის
აჭარის ტელევიზიისა და რადიოს
მრჩველთა საბჭოს წევრი

თამარ წილოსანი